ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

N 12314/01
12/12/2019

12314-01-2-201912120858

შპს „ჯითი ელექტრიკ კომს“
მის: *ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. N34-36*

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2019 წლის 19 ნოემბრის №16590 განცხადება, რომელიც ეხება გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით სამინისტროში განმეორებით წარმოდგენილ, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში, სოფ. განახლებაში ზეთების გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს და შესაბამის დოკუმენტაციას.

აღნიშნულ პროექტზე N62 27.06.2019 სკოპინგის დასკვნით (ბრძანება N2-673 16.07.2019) გათვალისწინებული მოთხოვნის შესაბამისად და „წყლის შესახებ” საქართველოს კანონის, ასევე „წყალდაცვითი ზოლის შესახებ” საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის N440 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის თანახმად, ვინაიდან მდ. ბარცხანას წყალდაცვითი ზოლი შეადგენს 10 მ-ს და აღნიშნული ტექნიკური რეგლამენტის მე-3 პუნქტით, წყალდაცვითი ზოლის ფარგლებში აკრძალულია მშენებლობა ან მოქმედი საწარმოების გაფართოება და რეკონსტრუქცია (გარდა კანონით პირდაპირ დადგენილი შემთხვევისა), აღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრომ წერილობით მიმართა სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს წყალდაცვითი ზოლის ფარგლების უძრავ ქონებაზე გავრცელების დასადგენად და დაზუსტების მიზნით, ადგილზე გაზომვების ჩატარების თაობაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თქვენს მიერ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე სამინისტრო აჩერებს ადმინისტრაციულ წარმოებას, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ გადამოწმების შედეგებისა და შესაბამისი ინფორმაციის სამინისტროში წარმოდგენამდე.

ხატია წილოსანი

მინისტრის მოადგილე

0159, საქართველო, თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. №6. ტელ./ფაქსი: +(995 32) 2378013
www.moa.gov.ge
6, Marshal Gelovani ave., Tbilisi 0159, Georgia, Phone/Fax:+(995 32) 2378013